ხელშეკრულება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების
შესახებ №167
CPV 39113100; 44421300

ქ. თბილისი „26“ „დეკემბერი“ 2019წ.

1.ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნინო ნოზაძის სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, შპს „ნოვი სტილი ჯორჯია” წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ შალამბერიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს[1]“ პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჭიროებისათვის 11 (თერთმეტი) ერთეული საოფისე სავარძლის და 1 (ერთი) ერთეული ცეცხლგამძლე სეიფის შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 5060 (ხუთიათას სამოცი) ლარს. (დღგ-ს ჩათვლით)
3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. საქონლის მიწოდების ადგილი ვადა და საგარანტიო პირობები
4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისთვის” ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში მისამართზე: ქ. ინგოროყვას ქ. №7.
4.2. მიწოდებულ საქონელზე ქარხნული ნაკლის/წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული საქონლის ჩანაცვლებას ახლით შემსყიდველის მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომლის საფუძველზე „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
6.4 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა უფლებები
7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
7.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები
8.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
8.1.1. დადგენილ ვადაში მე-4 მუხლის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.
8.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
8.1.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „შემსყიდველს“ მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტი ან/და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.

8.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის დროული გადახდა.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
8.2.3. კონტროლის შედეგად საქონელზე ქარხნული ნაკლის/წუნდებულის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს მიმწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა
10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 (ორი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის დადგენილი თანამშრომელი გიორგი ოთარაშვილი.

14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

14.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

18.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინების შემთხვევაში.
18.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“**
ს/კ: 204 548 230	ს/კ: 204546688
მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7	მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #24
ტელ: 299 97 08; 577 97 44 11	ტელ: 0322 49 77 78; +995 593 92 33 88
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ანგარიშის ნომერი: GE90TB1944236020100005
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	**დირექტორი**
ნინო ნოზაძე Nino Nozadze Digitally signed by Nino Nozadze Date: 2019.12.26 16:10:33 +04'00'	**მალხაზ შალამბერიძე**

ხელშეკრულება N167-ის დანართი #1

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება სულ	CPV კოდი
1	საოფისე სავარძელი F-880	ცალი	4	220	880	39113100
2	საკონფერენციო სავარძელი TQ-B-20	ცალი	6	205	1230	39113100
3	სავარძელი ტყავის CASANOVA 000N	ცალი	1	550	550	39113100
4	ცეცხლგამძლე სეიფი ES-150	ცალი	1	2400	2400	44421300
5				თანხა სულ:	5060 ლარი	

*ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ნინო ნოზაძე

Nino Nozadze Digitally signed by Nino Nozadze Date: 2019.12.26 16:11:13 +04'00'

შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“

მალხაზ შალამბერიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 26 დეკემბერი 2019წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაფორმებულ N167 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“-სთან.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ნ. ნოზაძე

Nino Nozadze Digitally signed by Nino Nozadze Date: 2019.12.26 16:11:52 +04'00'

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გ. ოთარაშვილი

Giorgi Otarashvili Digitally signed by Giorgi Otarashvili Date: 2019.12.26 16:12:35 +04'00'